№1

ლუციფერი

1907

„შავი ყოხანი გამოთხრის საფლავს....“

Лит. Дюстердика „Тифлисъ“

ᲐᲘᲖᲛᲐᲠᲘ.

ᲙᲐᲛᲔᲩᲘ ᲬᲔᲕᲡ ᲓᲐ ᲘᲪᲝᲮᲜᲘᲡ
ᲗᲐᲕᲘᲡ ᲐᲛᲘᲜᲓᲘᲐ ᲰᲒᲝᲜᲘᲐ,
ᲚᲐᲤᲨᲘ ᲩᲐᲤᲚᲣᲚᲘ ᲣᲠᲔᲛᲘ
ᲨᲘᲜ ᲛᲘᲢᲐᲜᲘᲚᲘ ᲰᲒᲝᲜᲘᲐ.

ᲮᲐᲚᲮᲣᲠᲘ.

თითონ მიკვირდა ჩემი მდგომარეობა! და ან კი რატომ არ უნდა გამკვირებოდა, როცა „ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების“ თავმჯდომარეთ დამნიშნეს და ყოველგვარ ქაღალდებს ჩემ სახელზე გზავნიდენ. მე უნდა განმეხილა, ზედ შესაფერი რეზოლიუცია დამეწერა და შემდეგი მსელელობა მომეცა. უბრალო ბლაღოჩინი და вдругъ такое повышеніе! ასეთი ოცნება მგონი ბოქაულსაც არ გაუვლის გულში, არა თუ მშვიდსა და მორჩილ ბლაღოჩინს. საზოგადოთ კანცელარიაში მუშაობა მძაგს, მაგრამ აქ მარტო ხელის მოწერა უნდა და ეს არც ისე ძნელი საქმეა. აი, შეხედეთ, ორ ღონიერ ბერს მოაქვთ რაღაცა უზარმაზარი წიგნი; ზედ ყვითელი ჯვარია გამოხატული; საწყლები, ოფლში იწურებიან! ტანში ჟრუანტელმა დამიარა. ვიფიქრე; „ნუ თუ ყველა ეს დანოსებია? ნუ თუ მე უნდა განვიხილო და გავასწორო მეთქი!“ მაგრამ შიში უსაფუძვლო გამოდგა. ბერებმა სტოლზე დამიდვეს წიგნი და მეც დიდი გაპირვებით დაუწყე ფურცლა.

— ცოტა დაუჭარეთ ყოვლად სამღვდელოვ! შემნიშნა ბერმა; გურია-სამეგრელოს ეპისკოპოზის მოწერილობა ძლიერ საჭაროა.

მე ისიც მიკვირდა „ყოვლად სამღვდელოს“ რომ მეძახოდენ, ისიც რომ ბერები შენიშვნას მაძლევდენ და ისიც რომ ამ შეუფერებელ საქმეში ვიყავი ჩაშბული.

— განა ეგრე საჭაროა? შეეკითხე ბერებს. და თანაც ძებნა დაუწყე აღნიშნულ ქაღალდს.

— საქმე რევოლიუციას შეეხება თქვენო სამღვდელოებავ და რევოლიუცია ხომ იცით დასაწყისშივე უნდა შეიმუსროს. აი ის ქაღალდიც! გრძელია მაგრამ რა გაწყობა.

მეც ჩავიკითხე! ჩავიკითხე მარა რა ჩავიკითხე, ჩემს აღტაცებას საზღვარი აღარ უჩანდა. „ყოჩაღ მისიონერო!, ყოჩაღ მისიონერო“ მეთქი ვიძახოდი თურმე თითოეული წინადადების შემდეგ.

„**მე დამნიშნეს 1905 წლის დეკემბერშიო**“ მწერდა გურული მისიონერი, „**საზარელ სურათს წარმოადგენდა ამ დროს რევოლიუციის ქარიშხალით გარემოცული გურია!**“ (მოდი და ნუ აღტაცებულ იქნები!!!) „**მხარე სრულიად და სავსებით სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციების გავლენისა და მბრძანებლობის ქვეშ იმყოფებოდა; ყველგან იმათი წარმომადგენლები ბრძანებლობდენ**“. ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო!...თურმე მღვდლებსაც სოც.-დემოკრატები აყენებენ სამსახურიდან, თავისუფლებას უხუთავდენ! „საშიში მომენტი იდგა! საკმაოდ იყო ქადაგებით და ხელმწიფის სურათით ხალხში გამოსულიყავ, რომ მზათ იყო ჯაშუშ-ხულიგანის სახელი და ხალხის ბოიკოტი. ამის შემდეგ მალე გამოცხადდა **საყოველთაო გაფიცვა და ხალხმა აჯანყებისათვის მზადება იწყო.** აი ამ დროს მომიხდა მე ხალხში ქადაგებით გამოსვლა და რწმუნება მისი რომ იარაღი დაეყარა“.

„გველსა ხვრელით გამოიყვანს ენა ტკბილათ მოუბარიო“—ნათქვამია. ჩემს წინ შავ სანთელივით დასობილ ბერებს შიშის ქარი უვლიდა როცა გურული წამებული მისიონერის სიტყვებს ისმენდენ. მეც ხმა მიკანკალებდა, როგორც არქიელის მთავარ დიაკონს და აღელვებას ვერა ვმალავდი. შემდეგ მისიონერი მოგვითხრობდა „თუ **როგორ მოაწყო** (организовалъ“) **მან სახელოვანი კრილოვის შეხვედრა ხატებითა და ხელმწიფის სურათებით.** აგვიწერს დაწვრილებით თავის მოღვაწეობას, სოფელ-სოფელ მოგზაურობას და ხალხში ქადაგებას. „**ჩემს წინააღმდეგ ამხედრდენ სხვა და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენელნი, როგორც სიტყვიერი ქადაგების დროს, აგრეთვე მწერლობაშიაც. ამის დასამტკიცებლათ გაახლებთ ცნობებს ჩემი მოღვაწეობისას**“.

ქაღალდში ჩაკერებული იყო გაზეთი „ლამპარიდან“ (№ 26, 28, 35) ამონაჭერი წერილები. აგრეთვე „სიმართლის“ მესამე ნომრის ნაგლეჯიც.

„დასასრულ, იწერებოდა მისიონერი, მსურს გავაფართოვო ჩემი მოღვაწეობა რევოლიუციის ძირიან-ბუდიანათ ამოსაფხვრელათ და ქრისტიანობის მკვიდრ ნიადაგზე დასამყარებლათ ჩემდამო რწმუნებულ მხარეში, რისთვისაც უმორჩილად გთხოვთ დამნიშნოთ ორი სიმღერის მცოდნე თანაშემწე და არ მომაკლოთ თქვენი ლოცვა კუთხევა.“

გათავდა!!! გადავსახე ჯვარი წიგნს და დავხურე. თან ფიქრმაც გამიტაცა. ვფიქრობდი: „თუ რვაასი მანეთის ქადაგებამ გურიაში ასეთი ნაყოფი გამოიღო და რევოლიუციას ამ ზომ ფრთები შეაკვეცა, რიღასთვის ვხარჯავთ ამდენ ფულებს ინგუშებისა და დამსჯელ რაზმებზე მეთქი. მაგრამ თვალ წინ დამიდგა გურიის სტრაჟნიკთა მამათ-მთავარნი დიმიტრი და კოწია, მათი თავდადებული მოღვაწეობა ქრისტიანული საღმრთოებების აღსადგენათ და მისიონერის სიტყვებში ეჭვი შემივიდა. ეჭვი გამორკეცა აგრეთვე კრილოვის შეხვედრის ინიციატივის მითვისებამ. არა ჩემო კეთილო, ვერ დაგიჯერებთ ვერა. ამგვარ მოღვაწეობას ისევ გუბერნატორი თუ დაგიმოწმებს. გავშალე ქაღალდი და დავწერე: „ეკითხოს სათანადო გენერალ-გუბერნატორს, ღირსია თუ არა მისიონერი არსებობისა.“ ბერებმა წიგნი დახურეს და ჩუმათ, უხმოთ გაიტანეს. მეც რასაკვრელია ავდექი წასასვლელათ, მაგრამ ვაი ასეთ ადგომას. ჩემი აღმატება კვამლივით გაქრა და უბრალო ბლაღოჩინი საწყლათ გამოვძვერი საბნიდან. ასეთია შეუფერებელი სიზმარი.

ბლაღოჩინი.

ᲒᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐ.

ᲒᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐᲡ ᲛᲝᲒᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲗ
ᲓᲘᲓᲘ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘᲐᲝ,
ᲜᲐᲦᲩᲘᲢᲚᲐᲠ-ᲜᲐᲓᲘᲐᲙᲕᲜᲐᲠ
ᲒᲐᲪᲠᲔᲥᲚᲘ ᲑᲔᲠᲘᲐᲝ,
ᲬᲚᲘᲣᲠ ᲝᲗᲮᲛᲝᲪ ᲗᲣᲛᲐᲜᲡ ᲘᲦᲔᲑᲡ
ᲮᲣᲚᲘᲒᲐᲜᲗᲐ ᲬᲔᲕᲠᲘᲐᲝ,
ᲡᲝᲤᲔᲚ-ᲡᲝᲤᲔᲚ ᲠᲔᲩᲔᲑᲡ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ
„ᲙᲠᲐᲛᲝᲚᲔᲑᲘᲡ“ ᲛᲢᲔᲠᲘᲐᲝ.
ᲘᲜᲒᲣᲨᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲞᲐᲒᲐᲜᲓᲐ
ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲮᲔᲚᲡᲐᲧᲠᲔᲚᲘᲐᲝ
ᲔᲜᲐ ᲢᲙᲑᲘᲚᲐᲗ ᲛᲝᲣᲑᲐᲠᲘ
ᲒᲣᲚᲘᲗ ᲔᲠᲗᲝᲑ ᲭᲠᲔᲚᲘᲐᲝ.
ᲐᲛᲐᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲜᲝᲑᲗ
ᲐᲠᲪ ᲗᲣ ᲘᲡᲔ ᲫᲜᲔᲚᲘᲐᲝ.

ᲢᲝᲒᲝ.

ᲓᲣᲛᲐ ᲓᲐ ᲮᲐᲚᲮᲘ

ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲛᲐ **ᲨᲣᲚᲒᲘᲜᲛᲐ** (უკიდურესი ხულიგანია) აგრარული საკითხის დროს თავმჯდომარეს **დედა შეაგინა.** ამისთვის შულგინი **კუთხეში დააჩოქეს.** სხვა მემარჯვენეებმა იწყინეს ასეთი მსჯავრი, რადგან **დედის გინება** ავი განზრახვით არ მოსვლია შულგინს, არამედ ჩვეულებათ აქვს გიდაქცეული და თანაგრძნობის ნიშნათ თითონაც დაიჩოქეს. სოლიდარობა პირველი საქმეა...

—

მემარჯვნე დეპუტატებს და ცირკის პატრონ ნიკიტინს დიდი მოლაპარაკება აქვთ. ამ უკანასკნელს განუზრახავს (რაც უნდა დაუჯდეს) **შეიძინოს** კრუშევანი, პურიშკევიჩი, კრუპენსკი შულგინი და თუ მთავრობამ ნება დართო სტოლიპინიც. კრუშევანი სრულს თანხმობას აცხადებს ძმათა ნიკიტინების დუმაში გადმოსვლაზე, თუ ეს უკანასკნელი გაისტუმრებს ყველა მის ვალებს და ერთი „პოგრომის“ მოსაწყობ გროშებსაც მისცემს. სხვები ჯერ-ჯერობით „ყოყმანში„ არიან. ერთ მთგანს ვიდევაც სწყენია.

დეპუტატებმა დაადგინეს: თუ ვინიცობაა გრაფ-ხულიგან ბობრინკიმაც მიბაძოს შულგინ-პურიშკევიჩს და გინება დაიწყოს, იმას ნურც ზალიდან გავაგდებთ და ნურც დავაჩოქებთ, პირდაპირ „ბეზაბედათ“ დავსტოვოთო. ბობრინსკისთვის ეს სასჯელი ყველაზე უფრო მძიმე და აუტანელი სასჯელია. უნდა ითქვას, რომ მოხერხებულათაც მოუგონიათ დეპუტატებს. „ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებს.“

რომელია მართალი? დუმის **მემარჯვენე** დეპუტატები (თუ შეიძლება ასე ითქვას) „ამტკიცებენ“ თავად-აზნაურობას, საუფლისწულო უწყებას, ხაზინას და მონასტრებს რომ ადგილ-მამული ჩამოვართვათ და გლეხებს დაურიგოთ **გლეხი კიდევ უფრო გალატაკდებაო, მეტი მიწა მეტს სილარიბეში ჩააგდებსო**...

კადეტები ამბობენ: **„გლეხს მიწა მაშინ შეერგება თუ ფასით გამოიყიდის მემამულეთაგანო,**

მემარცხნეები კი ამტკიცებენ: **„ჩვენი აზრით გლეხს უფასოთ მიღებული მამული უფრო მოუხდებაო“.**

ახალი ჩამოსული.

სცენა ერთ მოქმედებათ.

მოქმედნი პირნი:

ბესარიონ ბრეგვაძე,—ვაჭარი.
სვიმონ ხეტიაძე,—ახალი ჩამოსული, ახალთაობის კაცი.

(სცენა წარმოადგენს ქუთაისის ბულვარის მახლობლათ).
(ბესარიონი და სვიმონ შეხვდებიან ერთმანეთს).

სვიმონ. ბესარიონ, ბესარიონ!

ბესარიონ. (მობრუნდება) ბიპო! საიდამ სადაო წმინდა საბაო (გადეხვევა) როდის ჩამოდი?

სვიმონ. ორი დღეა რაც ჩამოვედი, სხვა როგორ გიკითხო?

ბესარიონ. ჰე! ჩემო ძმაო ვართ რაღა!

სვიმონ. (დაინახავს გადამწვარს, მაგრამ ისევ დაწყებულ შენობას) ეს რა არის? დაანგრიეს თუ... დამწვარა.

ბესარიონ. არაფერი, შარშანწინ ქუთაისში დასამშვიდებლათ კაზაკები ჩამოიყვანეს და რადგანაც შეშა ძალიან ძვირობდა ცეცხლი გაუჩნდა და ხელებს ითბობდენ.

სვიმონ. ხუმრობ თუ მართლა ამბობ?

ბესარიონ. ეჰ, ჩემო ძმაო რაც გინახავს ვეღარ ნახამ.

სვიმონ. ჰო! რაც გინახავს ვეღარ ნახავზე მომაგონდა, თეატრი ხომ არსებობს ისევ ქუთაისში?

ბესარიონ. არის მაგრამ ვაი იმისთანა ყოფნას, ქეც არი და ქეც არა.

სვიმონ. წარმოდგენები ხომ იმართება, რუსული ან ქართულ!

ბესარიონ. შარშანწინ არეულობის დროს ტეატრი ბასასხანათ იყო გადაქცეული, შარშან კი რგორც იყო თეატრს დაემგზავსა.

სვიმონ. როგორ?

ბესარიონ. როგორ და შარშანწინ ლაზღანდარობის მეტი არა კეთდებოდა რა, რომ შესულიყავ ტრაქტირი გეგონებოდა, პაპიროსის ბოლისაგან თვალები მეგინდებოდა შარშან კი დაიწყო ქართული წარმოდგენები ამას მოჰყვა რუსული წარმოდგენები და მშვენიერათ წავიდა საქმე.

სვიმონ. წესიერებას ვინ იცავდა?

ბესარიონ. ვინ იცავდა და კარგათ საქმის წაყვანა, ერთგულათ სცენაზე მუშაობა და ორი თუ სამ წარმოდგენაზე კაზაკების მათრახები.

სვიმონ. ჰმ!.. ეხლა არაფერი წარმოდგენა არ არის?

ბესარიონ. რა? წარმოდგენა? ხა! ხა! ხა! ხა რას ამბობ კაცო წარმოდგენა კი არა საღამოს შვიდი საათის შემდეგ თუ ქუჩაში გამოდი ისე გაგიხდიან მაგ გვერდებს, რომ სულ ტყავს აგაძრობენ.

სვიმონ. როგორ?

ბესარიონ. როგორ და „ოსადნოე პოლოჟენიეა“ გამოცხადებული.

სვიმონ: რათა?

ბესარიონ. რა ვიცი, აქ ერთი პოლიციელი მოკლეს პირადი ანგარიშისათვის და იმის მიზეზით ჩვენც ვიღუპებით რაღა,

სმიმონ. მარტო ეგ არ იქნება. შე კაი კაცო თფილისში დღეში ორ პოლიციელსა ჰკლავენ და იქ არ გამოაცხადეს და აქ რა არისო? უთუოდ სხვა რამ მიზეზი იქნება.

ბესარიონ. რა ვიცი, ამას წინათ ბომბები ისროლეს, ხაზინას 15000 მანეთი მოსტაცეს, ოთხი თუ ხუთი კაცი მოჰკლა ბომბმა და არაფერი ყოფილა და ეხლა ერთი პოლიციელისათვის ესეთ დღეში ვართ.

სვიმონ. მაშ საღამოობით გამოსვლა არ შეიძლება?

ბესარიონ. არა! დაგვიჯაბნეს სიმონ დაგვიჯაბნეს?

სვიმონ. საწყენია, საწყენი, მაშ არაფერი გასართობი ეხლა ქუთაისში არ არის ა!

ბესარიონ. ეხ! ჩემო ძმაო შენ უნდა ჩამოსულიყავი სანამ „ასადნი პალაჟენიეს“ გამოაცხადებდნენ,

სვიმონ. მერე! რა იქნებოდა?

ბესარიონ. წაგიყვანდი „კლუბში“ უწინ ხომ იცი იქ გარდა დიდ კაცებისა არავინ დადიოდა, ეხლა ვინ გინდა იქ არ არის, ყასაბი, მემარილე, მეპურე, ბაყალი, მეწვანილე მეღვინე, სტოროჟი, ლაქია, გარადავი, უჩენიკი, უჩენიცა, ურია, თათარი ერთი სიტყვით გარეა მათხოვრებისა, მაგრამ ბოლოს იმათმაც დაიწყეს, სულ ყველას იქ ნახავდი.

სვიმონ. რას აკეთებდენ? მიტინგები ხომ არ იმართებოდა?

ბესირიონ. ერი ჰა! რის მიტინგები რა მიტინგები, მიტინგები კი არა გახურებული ლოტოს თამაში იყო გამართული.

სვიმონ. როგოც ვატყობ ქუთაისში ბევრი უსაქმო კაცი ყოფილა, ლოტოს თამაში რა ვაჟკაცის საკადრისია?

ბესარიონ. უსაქმოო?! მერე რომელიმე ქვეყანაში ნახავ შენ იმდენ უსაქმოს რა. დენიც აქ არის? ზოგი თავის თავს სოციალდემოკრატს უძახის ზოგი რევოლიუციონერი ვაოო ზოგი ფედერალისტი, ზოგი ანარხისტი, ზოგი ავტონომისტი და სხვა და სხვა.

სვიმონ. მერე ჩემო ბესარიონ შენ მაგათ ეძახი უსაქმო ხალხსა?

ბესარიონ. აპა რავა გონია შენ? რავა შენ გონია აკეთებენ რასმეს? არ შეგეპამოს პირმა. ჩაუყვია ჯიბეში ხელები და დადის არც მუშაობს და არც არაფერი. იცი ერთ ავტონომისტს კი დაემართა სერი,

სვიმონ. რა?

ბესარიონ. რა (ძალზედ იცინის) პეტერბურგში ყური მოსჭრეს ძირში, გუშინწინ არ გინახავს სოხუნჯო აკაკის ჟურნალში დახატული? მოვკვდი კაცო სიცილით: დოუხატავთ ბალდახინში ყური ვითომ მოასვენებენ ხა! ხა! ხა! ხა!

სვიმონ. (გაღიმებს) ენახე როგორ არა!

ბესარიონ. (იცინის) ეხლა რისი მეშინიან იცი?

სვიმონ. რისა?

ბესარიონ. კაცო! დუმაში სოციალდემოკრატები წავიდნენ და ვაი თუ...

სვიმონ. ჰო! ვიცი წერეთელი და ლომთათიძე. მერე?

ბესარიონ. ჰო და გვეიხედოთ და ლომთათიძეს ცხვირი მოსჭრეს და წერეთელს თავი...ა.. რას იტყვი შენ?...

სვიმონ. ეგ როგორ იქნება?

ბესარიონ. მითომ რატომ? თუ კი ავტონომისტს ყური მოსჭრეს სოციალდემოკრატებს მოერიდებიან თუ?

სვიმონ. იმათ არასფერს მოსჭრიან, მაგრამ გამორეკავენ კი ეს უფრო ადვილი შესაძლებელია.

ბესარიონ. იცი სვიმონ? რევოლიუციონერები ძალიან ჭკვიანები უნდა იყვნენ, მე ძალიან მომწონს ეგ პარტია.

სვიმონ. რით მოგწონს?

ბესარიონ. კაცო? რაც დამემართება ბარემ ერთათ დამემართოს, რად ვაწოწიაკო ამდენი საქმე? დავებდღვნები გვეიტან ხომ კარგი არ გვეიტან და ჯანდაბას ერთხელ მოვკვდები ორჯე ხომ არა?...

სვიმონ. ეგ როგორ იქნება?...

ბესარიონ. ბიპო?.. სულ ერთი არაა... ეხლა ნაკლები წყდება თუ? ეს მუდრეგი „პოლევეი სუდი“ ყოველ დღე მთელ რუსეთში რამდენს უსპობს დღეს ჰო! მითხარი რამდენს? ამას გარდა ცივილიზაციაში რამდენს ატუცებენ თავს? ხომ? ჰო და ამდენი ხალხი ხომ მაინც გვაკლდება და ბარემ ნელ ნელა ამდენის დაკლებას ერთათ მისკტომა არ ჯობია?! ა! რას იტყვი შენ?

სვიმონ. არ ვიცი ღმერთმანი, პირში გეტყვი ჩემო ძმაო; შენ ისე ლაპარაკობ, რომ ღმერთმანი მეშინიან სიმართლე გითხრა.

ბესარიონ. როგორ? რისა გეშინიან.

სვიმონ. არ ვიცი ღმერთმანი, მე მითხრეს ქუთაისში ძალიან ფრთხილათ იყა-

ალბერტ ჩ. „უფლისწულის" ქორწილი სიყვარულისა

ანგარიში.

ვიო ჯაშუშები ბევრნი არიანო, ვინც წინათ მოთავე იყო და მქადაგებელი ეხლა ყველა ეშმაკის გზას დაადგაო, ცოტა არ იყოს მეშინიან **ვინ** იცის შენ როგორც ბურჟუა შეიძლება გამოტეხა გინდოდეს ჩემი.

ბესარიონ. ღმერთო მომკალი, ამას რას მეუბნები მერე ვის მე? შენს მეგობარს?

სვიმონ. ჰო! მე ერთმა ჩემა კარგმა მეგობარმა ამალაპარაკა და იმ ლაპარაკისათვის, ექვსი თვე ციხის იატაკი მათელინეს და რომ საშვალება არა, შეიძლება ცივ ქვეყნისაკენ...ან...ხომ იცი?

ბესარიონ. ოხ! ღმერთო კი მომკალი, ჩემგან?.. რავა გეკადრება შე კაცო.

სვიმონ. (უნდა ლაპარაკი შესცვალოს) ჰმ! მაშ ეგრე ქუთაისში ესეთი ამბებია ა?!!

ბესარიონ. შენ პეტერბურგიდამ, თფილისში როდის ჩამოხვედი?

სვიმონ. ორი კვირაა.

ბესარიონ. თუ კაცი ხარ მითხარი, რა ამბავია პეტერბურგში? დუმაში არ ყოფილხარ?..

სვიმონ. არა! არ ვყოფილვარ.

ბესარიონ. რავა მოგვიდა შე კაცო! რავაა საქმე რავა ფიქრობ შენ?

სვიმონ. რა ფიქრი უნდა...გამორეკავენ.

ბესარიონ. ვითომ?!

სვიმონ. конечно.

ბესარიონ. ვითომ კანეჩნოოო! (თვალებში შეხერებია).

სვიმონ. (გვერდზე მიიხედავს) ბესარიონ! ის გრძელ ულვაშებიანი პოგონებით ვინ არის?

ბესარიონ. (მიიხედავს) ის ჩვენი პოლიცმეისტერია კარგი ბიჭია ძალიანი.

სვიმონ. პოლიციელი და კარგი ბიჭი? ნახვამდის.

ბესარიონ. რა მიგაჩქარებს?

სვიმონ. მე პოლიციელს ვერ ვეჩვენები, ნახვამდის (ხელს ართმევს და მიდის).

ბესარიონ. (თავისთვის) ნამდვილათ გაწოწიალისტებულა.

ფ ა რ დ ა.

კაკარტიანი ეშმაკი.

ძველათ თურმე...

„რომელმაც სთქვას ერთი ორი,
უმაგავსო და შორი შორი“
ზეგსნობას ნუ დაიქადებს
დაჟინებით, როგორც ჯორი.

I

ძველათ თურმე ინდოეთში
ვირნი ხეზე ადიოდენ...
ჩვენ არ ვიცით რისთვის? რატომ?
ან იქ რაებს სჩადიოდენ.
მხოლოდ მნახველს განურჩევლათ
აკვირვებდა ეს ამბავი...
(ან კი რად არ გაოცებს
ესდენ უცხო სანახავი?)
ამ პოლო დროს ჩვენშიც მოხდა
ამის მსგავსი სასწაული
და მკითხველს რომ დავუმალო
აღარ მიზამს ამას გული.
მისმინეთ და მოგახსენებთ:
(არ გეგონოთ მართლა ჭორი)
კომედიებს რომ ადგენდა
ამ ჩვენ დროში ერთი ჯორი.
ერთ დიდ ყურა მოშაირეს
შემოაკლდა თურმე გროში
(აბა რას არ მოესწრება
აზრის მუშა ამ ჩვენ დროში).
ერთობ იგრძნო შიმშილობა
და გაუხმა საწყალს კუჭი
რა ოინსაც არ მიმართა,
გამოადგა ყველა ფუჭი.
ბოლოს ისევ გაახსენდა
ძველებური ლექსის წერა,
უცებ დაჯდა მაგიდასთან
და კისერი მოიღერა.
ძველათ თურმე ბევრი ყავდა
გამგონე და გულის სწორი,
ამჟამათ კი შერჩენია
კანტი-კუნტათ, ერთი ორი.
დაჯდა მაგრამ, რა დაჯდომა!
რა კისერის მოღერება!!!
სიტყვა სიტყვას არ უდგება
ლექსი ლექსს არ ეკერება...
ბოლოს, დიდის გაჭირვებით
გამოაცხო „ერთი-ორი,“
ავტორისა შესაფერი
„უმზგავსო და შორი-შორი,“
მასთან ჩვეულებისამებრ
გაიძახის ჩვენი ჯორი
რომ ამ **„ტრაგი-კომედიას“**
არღარ უჩანს ქვეყნად სწორი.
შინაარსს ის არ დაგიდევს
(ანკი „მგოსანს“ ეს რათ უნდა?!)
განურჩევლათ: მტერს მოყვარეს
მიაყარა ქვა და გუნდა;
აურია დომხალივით
რუსეთი და სათათბირო
მაგრამ არვინ შეუძახა:
„ტპრრრუ, შესდექი, თოქში.....
ეს კიარა, მოუწონეს...
დაბეჭდეს... და მისცეს გროში
(ან კი რას არ დაბეჭდავენ
ამ კურთხეულ ახალ დროში).
ამგვარათ: თუ სადმე ვირნი
ხეზედ ასვლას ახერხებენ
„ტრაგი-კომედიის“ წერას
ხომ ვერას გზით ვერ შესძლებენ.
და ინდოელ მოძმეებთან
შედარებით ჩვენი ჯორი
მეტი ქების ღირსი არის
ვით „მგოსანი“ და „ავტორი-“
ჯერ ხომ ერთი გამოაცხო
ეს ბარაქა კომედია,
შემდეგშიაც არ მოგვაკლებს
გქონდეთ სრული იმედია.

ეშმაკი.

ბენია და ბეშტია.

ბეშტია. გამარჯობა ამხანაგო! როგორა ხარ? ახალს რას იტყვი?

ბენია. გაგიმარჯოს ამხანაგო! მე რა უნდა გითხრა ახლა წელიწადი გამრგვალდა ცხრა-კლიტულში ვზივარ. ახალი შენ გეცოდინება ძმობილო და შენ უნდა მითხრა. ჩემი საქმის შესახებ გეტყვი. ავათ ვარ ამხანაგო ძლიერ ავათ... ეს ეს არის ჩემი საბრალმდებლო ოქმი მიჩვენეს და უნდა სიმართლე გითხრა ძლიერ განცვიფრებას მოვედი...

ბეშტია. რა იყო? რა ამბავია?!

ბენია. როგორ რა იყო, ვასილა ხუნდაძისაგან არ მოველოდი მაგას, თორემ სხვებს ვინ ჩივა. ივლიანე ჯაყელმა ხომ სამუდამოთ შეირცხვინა ცხვირ-პირი...

ბეშტია. მითხარი თუ ძმა ხარ რა ამბავია, მეტი მოთმენა აღარ შემიძლია.

ბენია. რომელი ერთი გითხრა ძმაო, როგორც ახსოვს ამ ვაჟბატონებს „პარტიის“ კაცათ მიქონდათ თავი და ახლა გაშტერდები რომ ნახო „რა უთქვამთ, რა მიუჩმახავთ, რაები მოუპორია“!... აფსუს სოციალისტებო!!..

ბეშტია. თქვი თუ ძმობა გწამს ნუ გამამწარე... „ადგილობრივ“ პარტიაში იქნებოდენ ალბათ. კაცო, ივლიანე ჯაყელმაც იკადრა? ჰაი გიდი ცხოვრებავ?!!

ბენია. არა, ჯაშუშობა გინდა? კარგი და პატიოსანი, იჯაშუშე, ვინ გიშლის. მაგრამ **პატიოსანი ჯაშუში** (კურსივი ჩემია[1]) სიცრუეს არ იკადრებს. და ისინი ვინ იცის რაებს არ იგონებენ. ეს ხომ ჯაშუშობაზე მეტია და არც ვიცი რა დავარქვა...

ბეშტია. როგორ თუ არ იცი?.. ხომ გაგიგონია არის ეპისკოპოზი და არხი ეპისკოპოზი. მაშასადამე შეიძლება იყოს უბრალო შპიონი და არხი შპიონი. მაგრამ შენ ის მითხარი რაშია საქმე... ივლიანე ჯაყელმა რა იკადრა?

ბენია. რა იკადრა და ის იკადრა, რასაც იკადრებს დმიტრა მგელაძე, პოდკოლზინი, კოწია ბერიძე, ალექ. დოლიძე და სხვა ამგვარები. ორი ფურცელი ქაღალდი სავსეა მათი ჩვენებით.

ბეშტია. პაჰ, პაჰ, პაჰ... სად გამოტყვრა ბიჭო, სად გამოტყვრა. ვასილ ხუნდაძეს ეწყინა ერთხელ რომ ავი სახელი უწოდეს. პაჰ, პაჰ, პაჰ! აი ამას ქვია „თივაში ცეცხლი არ დაიმალებაო.“

ბენია. ხუთ სიტყვაში ექვს ტყუილს ამბობენ და ახლა შენ გასინჯე, ჯაშუშობა. გინდა ძმაო, იჯაშუშე, მაგრამ არ შეიძლება ჩვეულებამ რომ არ წასძლიოს და არ წაუარხი ჯაშუშონ!

ბეშტია. ვაიმე ძმაო ივლიანე ჯაყელო, ძმავო ივლიანე ჯაყელო! რა უდროვოთ გამოეთხოვე პატიოსნებას! ვაიმე ძმავო ივლიანე!...

ბენია. ვასილას რატომ არ იხსენებ!

ბეშტია. ვასილ ხუნდაძე რამდენიხანია გამოვიტირე. ვაიმე ძმავო ივლიანე ჯაყელო, როგორ უდროვოთ გამოეთიშე. ახალგაზდობას..

(ბენიასაც და ბეშტიასაც ცარე ცრემლი წასდებათ და უმოწყალოთ იმდაღრებიან.)

[1]) ვისი?

პროვინციის ამბები.

ჟუთაისი. ადგილობრივი თავადი ვახუშტი ჩიპურტანიძის ბავშვებმა თამაშის დროს ქუჩაში ერთი ფანჯარა გასტეხეს. საქმეს მსვლელობა მიეცა და მოსალოდნელია **საალაყო წესები** ხელახლა შემოიღონ.

აბაშა. მესამე დღეა კოწია ცომაიას შისი სტრაჟნიკებით არავინ მოუკლავთ და ლამის ჯავრისაგან გადაირიონ.

აქეთი. ოზურგეთიდან გვეწვია ჩვენ სტრაჟნიკი **ლაპარტყავა.** და სარჩო თუ რამ გვებადა წაგვართვა და გაგვატყავა.

ძვიშხეთი. ტაშის კარის მემამულე უზნეო და ქკუა თხელი
ქვიშხეთს რისხვათ მოევლინა
ეს უღმერთო **სავანელი.**
გონებიდან გადამხტარი
(ძმას რომ მოუტეხეს ხელი)
სტრაჟნიკებით შემოიჭრა
ააოხრა ეს სოფელი.
ზოგს ოჯახი დაუნგრია
ზოგს დაუნაღველა წელი
ვისაც მცირეთ ემდუროდა
არ დააკლო არვის ხელი.
ტაშის კარის აზნაური
უმსგავსო და ჭკუა თხელი
ქვიშხეთს რისხვათ მოევლინა
ეს უზნეო სავანელი.

სურამი. მთელი სურამის საზოგადოება თვალ ცრემლიანი მისტირის თავის „ძვირფასს“ **მამასახლისს აბაზაძეს,** რომელიც ათას გვარ ბოროტ-მოქმედებისა და ძალადობისათვის მხოლოდ ორი კვირით დაატუსაღეს. სასჯელის გათავების შემდეგ შეიძლება ბოქაულობა მისცენ.

ხაშური. სავანელის თხოვნით, რადგან ბოქაული ძლიერ ხათრიანი კაცია, ქვიშხეთში **ეკზეკუციას** აგზავნიან. სულ მხოლოდ **30** კაზაკი და **4** სტრაჟნიკი იქნება.

სოფ. ნიჩბისი. ვიღაცამ თავადის ცხენს **ძუა მოაჭრა.** სოფელში დამსჯელი რაზმი მოვიდა. თხოულობენ ან **ძუა განუახლონ,** ან **3000** მან. გადაიხადონ, ან დამნაშავენი აღმოაჩინონ, წინაადმდეგ შემთხვევაში სოფელს ჯარს შეუსევენ.

სოფ სვირი. გზათ შიმავალ სტრაჟნიკს სამი წლის ბავშვმა **ხულიგანი** დაუძახა. სტრაჟნიკმა ბავშვი მოკლა შეურაცხყოფისათვის. სოფელში ეგზეკუცია ჩაუყენეს. თხთულობენ ან **დამნაშავე გასცენ,** ან **სამი ათასი** მანეთი გადაიხადონ. წინაადმდეგ შემთხვევაში **სოფელს ჯარს შეუსევენ.**

ოზურგეთი. ადგილობრივ ციხეში დიდს ცვლილებას ახდენენ. ტუსაღებს წინათ პირის პირ აჩვენებდენ მნახველებს, ახლა რეშოტკებიან ოთახს ამზადებენ ამ საქმისათვის. ციხის უფროსი ვანო ჯაყელი რეკებისთვის ბაუმში გაგზავნეს.

ჯიათურა. რადგანაც „ადგილობრივი“ ქათმები გაფიცული იყვენ საავთმყოფოში დიდი შიმშილობა ჩამოვარდა. ზდანოვიჩი თავს იმართლებს, რომ გაფიცვაში მონაწილეობა არ მიუღია.

იჟიდანვე. რაკი დრამატიული დასი საბოლოოთ მოყვა, ახლა ოპერის შედგენას აპირობენ ჭიათურული სცენის მოყვარენი.

სოფ. ჯუმათი. ნინო დადიანის ქალი ალექაჯი, ეპასი ტ მუხანათი დედაკაცირომ იყო ყველამ იცოდა, მაგრამ ახლა ისეთი დაუვიწყარი ღვაწლი დასდო ჩვენს სოფელს, რომ ხალხი სიზმარშიაც არ დაივიწყებს. **სოციალ ეგზეკუციონისტებმა** (ახალი პარტია გურიაში) სოფელს 3000 მ. შეაწერეს მის სასარგებლოთ, მაგრამ პარტიის ლიდერმა და დამსახურებულმა გაიძვერა ხულიგანმა ნიკოკი თაყაიშვილმა 5000 მანეთათ გახადა. ამბობენ ამ სიმწრით გადახთილი ფულებით ეს ღირსეული „პაროჩკა“ ნინო და ნიკო ერთათ იქეიფებენო. მიქიაშვილის არ იყვეს რა უჭირთ, როცა ქთამ-ინდოურები შემოელევათ სოც. დემოკრ. შეწვევენ და მიირთმევენ.

დეპეშები

იალტა. ჯერ არ მომკვდარა... (ვინ?)

ბათუმი. საშიშარი **გრიგალი,** რომელმაც გაოხრა ბათუმის მიდამო, გენერალ-გუბერნატორმა **სამხედრო-საველე სამართალში მისცა.**

ბაქო. გენერალ ოტ ჟანდარმერია ბარონ ფონ ტაუბე მოვიდა! პოზიციები გაამაგრა! **მალე დაიწყება.** (რა?)

პეტერბურგი. ერთ კადეტს სიზმარში უნახავს ვითომ **სახელმწიფო დუმა გარეკეს.** როგორც მოსალოდნელი იყო, გული გახეთქია და მომკვდარა.*)

პეტერბურგი. ყველასგან ცნობილ **გურკოს** აზიის შესწავლა მიანდვეს. სწავლის ფულზე რა თქმა უნდა ბევრს არ ალაპარაკებენ. ლიდველი თხოულობს მე აფრიკა მომანდევითო. ორიენ ბეჯითი ყმაწვილები არიან.

ბერლინი. ტროცკი და ხრუსტალიოვი ულრმეს მაღლობას უძღვნიან რუსეთის მთავრობას ასეთი ხეპრე ჩინოვნიკების ყოლისათვის.

ჯოჯოხეთი. თავადი გოლიცინი დილის ხუთ საათზე მოვიდა საქონლის მატარებლით. სადგურზე გამოეგებენ: პობედონესცევი, პლევე, ბობრიკოვი, ბოგოლეპოვი, ლუჟანოვსკი, მინი, ივნატიევი, ჩუხნინი, სიპიაგინი და სხვა მრავალი წარჩინებული საზოგადოება.

საპოლხე. 26 მარტს, ნაშვადღევს გვეწვია გაზეთი **„სინათლე.“** სტუმრობა სულ მოულოდნელი იყო და მით უფრო სასიამოვნო. გამოეგებენ: კვალი, სხივი, ცნობის ფურცელი, განთიადი, ელვა, გრიგალი, ახალი ცხოვრება, ტალღა, ზარი, საყვირი, ლამპარი, გზა, მეგობარი, ჩვენი ცხოვრება, ახალი დროება, წინ, და სხვანი. ყველას, გარდა კვალისა გულზე პატარა ბანტები ეკიდათ ზედ წარწერით **„თ. დ. გ. გ.“**

გური. ცნობილ კოტე ამირეჯიბს ბრძანება გაუცია: ტყეს არ მისცენ ნება ფოთოლი მოისხას, რადგან წითელი რაზმელები შეაფარებენ თავს.

შვა ქართლი. ეს ერთი ხანია მთავრობის მამასახლისებმა ფრთები ჩამოყარეს, ამბობენ ქათმის ჭირი შეეყარათო:

განცხადებები.

პროლეტარიატის საყურადღებოთ.

ახლო მომავალში გამოვა ქართულ ენაზე ყოველ-დღიური გაზეთი.

ნ. აზიანის და **ი. ევდოშვილის**

მონაწილეობით.

ვწერ „დახოსებს“ დაკლებულ ფასად ძი განსაკუთრებით რედაქტორ-თანამშრომლებზედ მაქს დიდი ხნის პრაქტიკა.

ადრესი: ბათომი. **...ო დავიდოვი.**

საჭიროა სამ იალქნიანი გემი ჭიათურის ქუჩებში საცურავათ. დაწვრილებით პირობის გაგება შეიძლება ჭიათურის ვაჭრებთან.

მინდა სესხათ ათასი მანეთი, ვექსილს მივცემ და პატიოსან სიტყვას, რომ როცა მექნება უეჭველად გადაუხდი. ადრესი: ქუთაისი ლადიძის ზავოდთან, ბულვარის პირდაპირ დილიდამ საღამოვდის სკამზე ვზივარ.

ვკისრულობ ყოველ გვარ კომისიებში წევრათ ყოფნას თუ გინდ სამოკი სხვა და სხვა კომისიები იყოს, მხოლოდ საქმეს კი ვერ გავაკეთებ. ადრესი: ქუთაისი კანტორა „ნადეჟდა.“

მე ქვემორე ამისა ხელის მომწერმა მამა **დიმიტრი სიმონისძე კაჭარავა** ვწამლობ **ავი ზნით (ბნედით) შეპყრობილ** სნეულ პირებს ორივე სქესისას, ყოველი ეროვნებისას, სარწმუნოებისას, წლოვანებისას და მიმართულებისას. ვწამლობ ხელოვნურათ, რის დასამტკიცებელი საბუთები ერთი არშინის სისქე წიგნს წარმოადგენს. წამალი იხმარება მორიგეის (მოვლის) დროს, არა უმეტეს, რასაკვირველია თუ დამწვარი არ არიან. მსურველს შეუძლია ფოსტითაც გამოიწეროს.

ადრესი: **სად. აბაშა (ხენაკის მაზრა).**

*) ეს შესაძლებელია, მაგრამ როგორ შეიტყვეს რომ ასეთი სიზმარი ნახა? **ეშმაკი.**

გამომცემელი **თინა ბაქრაძე.**

ელექტროსტამბა ალ. „**სორაბაძი.**“ მადათოვია კუნძული, სახლი მეხრაიოვისა, № 1.